# ხელშეკრულება№62
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
## (სამუშაოს შესყიდვა)

ქ. ბაღდათი 28 მაისი 2010 წელი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბაღდათის მუნიციპალიტეტი (შემდგომში – შემსყიდველი), საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი რობაქიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ვუნგლი"-ს (შემდგომში – მიმწოდებელი), დირექტორის შორენა ყიფიანის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია სოფლის პროგრამის ფარგლებში სოფ. დიმში საავტომობილო გზის ღამის განათების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის გზით.

### 2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია სოფლის პროგრამის ფარგლებში სოფ. დიმში საავტომობილო გზის ღამის განათების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.

### 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 23713 (ოცდასამიათასშვიდასცამეტი) ლარს.

### 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

### 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ბაღდათი

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

### 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

### 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის, ხოლო წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში სახელშეკრულებო თანხის არაუმეტეს 35%-ის ფარგლებში საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს ხუთი საბანკო დღის ვადაში.

7.4. ანაზღაურების ადგილია ქალაქი ბაღდათი.

### 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული

[illegible] შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 2012 წლის 10 ივნისისა;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## *9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

## *10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2012 წლის 15 ივნისამდე.

## *11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *12. ფორს-მაჟორი*

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## *13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები მხარეთა

[illegible]
მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### *14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

კახა მსხვილიძე- ჯგუფის ხელმძღვანელი, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

იოსებ გიორგობიანი- უფრ. სპეციალისტი მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში.

ზაზა ენდელაძე- მშენებლობის, სივრცითი მოწყობის, გზებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების უფროსი.

მარი გუმბერიძე – უფრ. სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### *15. სხვა პირობები*

15..1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

### *16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

**შემსყიდველი:**

ბაღდათის მუნიციპალიტეტი
წერეთლის ქ. № 9
სს სახალხო ბანკის ბაღდათის ფილ
ს/კ 225064471
ა/ა GE80LB0120178507243000
მფო 220[illegible]1458

საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ
გ.წიქორიძე

**მიმწოდებელი:**

შპს « გუნგლი »
ქ. ბაღდათი ვაჟა ფშაველა №4
სს სახალხო ბანკის ბაღდათის ფილ
მფო 220101458
ს/კ 225068271
ა/ა GE04LB113139224583000
შპს "გუნგლის"
დირექტორი [illegible] ყიფიანი

ხოვ. დიმში საავტომობილო გზის გარე განათების მოწყობის
ხარჯთაღრიცხვა

| № | სამუშაოს დასახელება | განზ. | რაოდ. | მასალა | | ხელფასი | | ტრანსპორტი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | ჯამი |
| 1 | ელგადამცემი საყრდენის დამზადება ფოლადის მილებით დ=127მმ დ=50მმ 1.9 სისქით 3.5მმ | ც | 36.00 | 210.0 | 7560.0 | 15.0 | 540.0 | 5.0 | 180.0 | 8280.0 |
| 2 | გადამყვანი ანკერის მოწყობა | ძბ | 2.00 | 3.0 | 6.0 | 3.0 | 6.0 | 2.0 | 4.0 | 16.0 |
| 3 | გრუნტის გაჭრა ხელით 1.3 სიღრმეზე | კუბ.მ | 11.70 | 0.0 | 0.0 | 20.0 | 234.0 | 5.0 | 58.5 | 292.5 |
| 4 | ელგადამცემი საყრდენის დაყენება ამწით | ც | 36.00 | 0.0 | 0.0 | 10.0 | 360.0 | 10.0 | 360.0 | 720.0 |
| 5 | СИП ტიპის ელგადამცემი ალუმინის ძარღვიანი კაბელის ხაზის გაჭიმვა კვ 2*16,კვ კ 1.051 | СИП | 1212.00 | 1.2 | 1454.4 | 0.1 | 121.2 | 0.1 | 121.2 | 1696.8 |
| 6 | ტრანსფორმატორიდან იგივე ტიპის კაბელის ხაზების გაჭიმვა კ 1.05 | გრძ.მ | 30.00 | 1.2 | 36.0 | 0.1 | 3.0 | 0.1 | 3.0 | 42.0 |
| 7 | 2X2.5 ჩამომყვანი კაბელის მონტაჟი | გრძ.მ | 90.00 | 0.5 | 45.0 | 0.1 | 9.0 | 0.1 | 9.0 | 63.0 |
| 8 | СИП სამაგრების დაყენება | ც | 36.00 | 8.0 | 288.0 | 0.1 | 3.6 | 0.1 | 3.6 | 295.2 |
| 9 | ელმრიცხველის მონტაჟი | ც | 1.00 | 75.0 | 75.0 | 5.0 | 5.0 | 5.0 | 5.0 | 85.0 |
| 10 | 100 ამპერიანი დენგამტარის დაყენება | ც | 1.00 | 15.0 | 15.0 | 1.0 | 1.0 | 1.0 | 1.0 | 17.0 |
| 11 | ფოტორელეს დაყენება | ც | 1.00 | 18.0 | 18.0 | 1.0 | 1.0 | 1.0 | 1.0 | 20.0 |
| 12 | **sodium** ტიპის ახალი ყვითელი ნათების 70 ვატ. | კომპლ | 36.00 | 110.0 | 3960.0 | 4.0 | 144.0 | 4.0 | 144.0 | 4248.0 |
| 13 | მაგნიტური გამშვები | ც | 1.00 | 40.0 | 40.0 | 5.0 | 5.0 | 5.0 | 5.0 | 50.0 |
| 14 | საყრდენი ბოძების შეღებვა 2-ჯერ ზ/საღებავით | კვ.მ | 143.00 | 2.0 | 286.0 | 2.0 | 286.0 | 1.0 | 143.0 | 715.0 |
| 15 | საყრდენი ბოძების დაბეტონება | კუბ.მ | 9.60 | 110.0 | 1056.0 | 10.0 | 96.0 | 3.0 | 28.8 | 1180.8 |
| | ჯამი | | | | | | | | | 17721.3 |
| | ზედნადები ხარჯი 5% | | | | | | | | | 886.1 |
| | ჯამი | | | | | | | | | 18607.4 |
| | გეგმიური დაგროვება 8% | | | | | | | | | 1488.6 |
| | ჯამი | | | | | | | | | 20096.0 |
| | დ. ღ. გ. 18% | | | | | | | | | 3617.3 |
| | ჯამი | | | | | | | | | 23713 |